



წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე, 1911

სამეურნეო ჟურნალი

# მოსავალი



ენკენისთვე 1.

№ 17.

## შინაარსი:

|                                 |  |    |
|---------------------------------|--|----|
| ვ. რცხილაძე . . . . .           | სანატრული ქვეყანა, (გარეულის თხზულებიდან). . . . . | 3  |
| აგრ. გამხარაშვილი. . . . .      | თამბაქოს მოყვანა გურიაში . . . . .                 | 8  |
| ყ. ჩხეიძე . . . . .             | ფუტკარი. . . . .                                   | 10 |
| „მოსავ“ წარმომადგენელი. . . . . | ლონდონის ბაზარი. . . . .                           | 15 |
| განცხადება. . . . .             |  | 16 |





# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შივრებისა: — ახოშვილი ვ., ანაზღუელი, ახლათა ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთამაშვილი ვ., ელიაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მანაბელი ა., მდივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი., ფლავანდიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე მ., ქარცივაძე ვ., ფიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ზუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენასე, ზემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

## თანამშრომელთა საუბრადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზით არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი უშუალოდ სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებანი.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვეურთი ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუზავნის უფასოდ **დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

## ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**

# სანატრელი ქვეყანა\*)

(გარეულის თხზულებიდან)

როგორ იწყობა სიცოცხლე ან როგორ ვითარდება იგი—აი ქემარიტად ყველაზე დიდი და მიუწდომელი საიდუმლოება მსოფლიო არსებობისა. მას აქეთ, რაც ეს ქვეყანა დაარსებულა ამ წყვიდადს იმოდენა სინათლე არსაიდან არ მისდგომია, რამოდენიც მცენარეების ზრდა-ვითარების გამოკვლევით წარმოსდგა. თესლის გაღვივებიდან დაწყებული ვიდრე მცენარე ზრდას დაიშთავრებს და ისეთსავე თესლს გაიკეთებს, როგორაც მოვლენა, იმოდენად წარმტაცია ადამიანის გონებისა, რომ სხვა ამისთანა მაგალითს ძნელად ვიპოვით ბუნებაში.

მარტო ის შედეგი რაც უკვე მიუღიათ სანატრელ ქვეყანაში პურისა და სიმინდის გაუმჯობესობის საქმეში, სრულიად საკმარისია, რომ ყოველი შიში მთელი ქვეყანის დამშევის შესახებ, შიში, რომელიც არა-ერთხელ წარმოუთქვამთ უწინდელ დროში წარჩინებულ მსწავლელებს, უსაფუძვლოდ იქმნეს ჩათვლილი.

ისეთი ჯიში პურის შემუშავება, რომელიც უფრო ამტანია გოლვისა, იშვიათად ხდება ავად სხვადასხვა სატიკერით, ნაკლებად ზიანდება მაზარალებელ მწერთაგან და მასთან გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე ჩვენი ძველად არსებული პურის ხორბალი, მარტო ლაბორატორიებში და სალუმ-

ლებშიაც რომ მომხდარიყო, მაშინაც კი დიდ განცვიფრებაში ჩაადებდა ჩვენს გონებას მოსალოდნელ შედეგთა წარმოდგენით.

მაგრამ სანატრელ ქვეყანაში დიდი ხანია ეს ხელოვნურად დამუშავებული ახალთესლი ხობაბუნებში გადაიტანეს და დღეს იქაური მეურნეები აი-აი რომ თესლსაც კარგსა სთესავენ და მოსავალსაც კარგსა მკიან.

წინად უდაბნოებათ თვლილი მინდვრები, სადაც ვერც ერთი ხორბლეული მცენარე ვერა ხარობდა, დღეს პურის ყანებით არიან ხოლმე მოქედნილი.


უფრო მეტი იერიში იქაურმა მეურნეობამ სიმინდზე მიიტანა. დღეს იქ დამთესავის ბძანებით ბუნებას ისეთი სიმინდი მოჰყავს, როგორიც თვით დამთესავს უნდა.

საქმე იმაშია რომ სიმინდს სანატრელ ქვეყანაში ზოგ შემთხვევაში ადამიანის საჰემელად სთესავენ და ამისდამხედვით უნდათ რომ იგი ერთი რიგი შემადგენელი ნივთიებებით იყოს მდიდარი, ზოგში კიდევ საქონლის საკვებად და მაშასადამე სხვა რიგად შენდგარი.

ყველა ამის მოხერხება, რასაივირველია, ერთ დღეს არ შეიძლებოდა. უნდა ბევრი დრო და ენერჯია შეეღიათ ვიდრე მიზანს მიაღწეოდნენ.

ვინ მოსთვლის ესლა ყველა იმ ტანჯვა-წვალებას, რომელიც უკვე წარ-

\*) იხილე „მოსავალი“ № 16.



სულად არის ქცეული. ვინ იცის რამდენჯერ მოსულა მკვლეველი ალტაცებაში სასურველი შედეგის მოლოდინით და მერე მწარედ დაღონებულა, როცა დაშვებული რამ შეცდომისა გამო მოლოდინი იგი არ გამართლებულა; რამდენჯერ დაჰკარგვია მას იმედი, დაუნებებია თავი დაწყობილ შრომისათვის და მერე ისევ ხელახლად დაუწყვია ან სრულებით მიუნებებია თავი...

ახალი ხორბლის შემუშავება, ესე იგი ისეთი მცენარის გაზრდა, რომელიც ამ ქვეყნად ჯერ არ მოვლენილა—განა ეს სასწაული არ არის? ორი სხვადასხვა ბუნების მქონე მცენარიდან ერთი ახალის მიღება ხელოვნურად წინააღმდეგ ბუნების მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობისა—განა ეს იმაზე ნაკლები საკვირველებაა, რასაც სასწაული ეწოდება?

პურის მცენარე ეკუთვნის იმ ჯგუფ მცენარეებს, რომელთაც სამრავლი ორგანოები, ესე იგი **სანაყოფე** და **სამტვრე** ერთდაიგივე ღეროზედ აქვთ გამოტანილი. ასეთი მცენარე ათასი წლობით რჩება უცვლელი, არ კარგავს თავის ჯიშს, არ ახლდება თავის თავად, ყველა მის ჩამომავლობანი წააგვანან ერთიერთმანეთს. მხოლოდ ხორბალი ერთი მოსავლისა არ შეიძლება ცოტათი მაინც არ განსხვავდებოდეს მეორე მოსავლის ხორბლიდან, არ იყოს ცოტათი მეტად ან ცოტა ნაკლებად მაძლარი ან მშვიერი, ესე იგი წინანდელ მოსავალზე ცოტა უფრო კარგი ღირსებისა ან მასზე დაბალი.

კაცთა ჩამომავლობა ადგება გადაგვარების გზას, როცა მაგიერ იმისა რომ სხვადასხვა სისხლისანი შეუღლ-


დნენ, ერთი თვისტომნი ირთავენ ერთ მანეთს. იგივე ხდება მცენარეთა სამეფოშიაც.

ხოლო პურის მცენარე მოკლებულია საშუალებას არჩევანში შევიდეს. ამ მცენარის სხვადასხვა ძირები ვერ ახერხებენ თავიანთი სამტვრე და სანაყოფე ორგანოებით ერთიმეორეზე იმოქმედონ ჯვარედინად, ესე იგი ერთ ძირზე მყოფი სამტვრედან ყვავილის მტვერი მოხვდეს სანაყოფეს მეორე ძირზე და ამგვარად ახალი ჩამომავლობის მომცემნი ძალნი ცოტათი მაინც განახლდნენ.

პურის მცენარე აყვავდება ხოლმე დილაუნათებლივ, როცა მთელ არემარეს ჯერ ისევ სძინავს. ყვავილის მტვერი სამტვრედან გადადის იმავე ძირის სანაყოფეზე და ამ სახით ყოველი ცალკე ძირი მცენარისა თავისივე მზგავსი მცენარის მომშენებელი ხდება მთელი საუკუნოების განმავლობაში. ამ გზით პურის ჯიში არც ეხლა და არც მომავალში იოტის ოდენად არ შეიცვლებოდა რომ სანატრელ ქვეყნის მეურნე არ ჩარეულიყო ამ საქმეში.

პურის გაახლებას წინ უძღვის ორი ფაქტორი:—1) მცენარის ჩასახვა და 2) როცა მცენარე შემოვა, უკეთესი მათგანის არჩევა.

მოდის მეურნე დილა-ადრიან და გადაშლილი ყვავილის მტვერი ერთი ძირი მცენარიდან გადააქვს ფრთხილად მეორე ძირის სანაყოფეზე და შემდეგ ჰხვევს ამ ყვავილს ქალაღის პარკში, უკეთებს საფარს, რომ ფრინველმა ან მწერმა არ ჩაუშალოს დაწყობილი საქმე. დილით გაშლილი ყვავილი საღამომდე ისევ იხუტება თანდათან და



კარჩაკეტილში ინახავს თავის საიდუმლოებას.

მეურნე თავის ნამოქმედარის შედეგად გამოვლის ახალი მცენარის აღმოცენას. ვინ იცის იქნება იმედი არ გაუმტყუნდეს და მართლა მიიღოს ისეთი ჯიში, რომელსაც ბედად ხენათესვის ძირიანად გამოცვლა უწერია მთელ დუნიაზე.

მაგრამ ასეთი ცდა ახალი როდია. აზრი ამ გზით პურის ჯიშის გაუმჯობესობისა დიდი ხანია, რაც დაიბადა ევროპაში. ერთს პურით შოვაჭრეს პარიზში სამ ათასზე მეტი ცდა გაეკეთებინა ზემოხსენებულ მიზნით და ყველა ცდებიდან მარტო ის დაესვენა, რომ ამ გზით ვერას გახდება კაცი, რადგან ათასში მხოლოდ ორიოდ მცენარე გამოდის ისეთი, რომელიც ცოტათი თუ სჯობიან დანარჩენებსაო.

აი სწორედ ამ „ორიოდებზე“ უნდა დამყარებულიყო ახალი პურის მიღება სანატრელ ქვეყანაში. ხოლო დრო ეჭირვებოდა ამას, რასაკვირველია, ძალიან დიდი.

ახალი ჯიშის შემუშავება უნდა დაიწყოს ერთი მარცვლიდან. საგანისოთ მიიღებთ რამდენიმე მარცვალს, რომლებიც უნდა დიდისსიფრთხილით მოკრიფოთ უკლებლივ, აარჩიოთ მათში ყველაზე უკეთესები და შეინახოთ შემდეგისათვის დასათესად. ცდა რამდენიმე ყავლობა გამეორდება ასე. დათესვას თან უნდა მოსდევდეს ახლად შემოსული საუკეთესო მარცვლების გადარჩევა ისევე დასათესად. გავა კიდევ ერთი-ორი წელიწადიც და მიიღებთ იმოდენა მოსავალს, რომ იმის მოკრევას „მკა“ უწოდოთ. თუმცა პირველად მოსავლის სიცოტავისა გამო ამ სიტყვამ

შეიძლება ღიმილიც კი გამოიწვიოს პირისახეზე, მაგრამ რა უყოთ, მოთმინება იქონიეთ და ათი წლის განმავლობაში ნამდვილი მკა გაჩაღდება. ერთი ეს არის მხოლოდ: მანამდე ვინ იცის რა მოხდეს.

იქნება საქმემ ბოლო ვერ გაიტანოს და გამომკვლევებმა დაინახოს, რომ ის ახალი პური, რომელიც იმას მოყავს, არა სჯობია ძველს არც გამოსავლით, არც სინოყვირით და არც სხვადასხვა სატკივრის ატანაში.

შეიძლება უფრო სამწუხარო დასკვნამდენაც მივიდეს იგი—დარწმუნდეს რომ იმისი ახალი პური პირიქით ყველაფერში ჩამოურჩება იმ ძველს, რომლიდანაც გამოიზარდა. მერე, ამოდენა წვალემა, ხარჯი, ტყუილად დაკარგული დრო, რომელი ერთი იჩივლოს მან!

სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი ცდა მარტო ერთგან არა კეთდება. იგივე დროს ბევრი სხვა პურის მარცვლებიც იყენენ ასეთსავე განსაცდელში სხვა ადგილებში და აი ყველა ამათში შეიძლება მარტო ერთგან სადმე მხოლოდ ერთმა მარცვლის ჩამომავლობამ დაიტყო განსხვავება და სჯობნის იგი ყველაფერში თავის წინაპრებს. მაშ ეს ყოფილა მირონცხებული, მას დაეძებდნენ ყველა მკვლევარი და აკი ჩაიგდეს ხელში. ეხლა მარტო ეს ერთი ანაზღაურებს აქამომდე გაწეულს შრომასა და ხარჯს და დაავიწყებს ყველას გამოვლილ ტანჯვა-წვალებას. მისი წინაპარნიც და ჩამომავლობაც სათითაოდ უნდა იყენენ აღწერილნი და აღწერილობა იგი ცალკე ინახებოდეს. ამ კარაბადიმში უნდა დაწვრილებით ინიშნებოდეს ყო-



ველი ცნობა ერთ ქცევაზე გამოანგარიშებული. მარცვლის წონა, ფერი, შემაღენელი სინოცივრენი, ნაშვის სიმაღლე, ფესვების სიგძე, სატკივრის ატანა—ყველა ეს უნდა სრულის სისწორით იწერებოდეს უკლებლივ.

არჩევანი, რომელსაც დიადი მნიშვნელობა აქვს ჯიშის გაუმჯობესობაში, გამოიხატება იმაში რომ ყოველი ჩამომავლობიდან მხოლოდ საუკეთესო წარმომადგენელი ინახებოდეს და დანარჩენები კი იმუხრებოდნენ.

არჩევანით გაუმჯობესებულ პურს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს არა მარტო მინდორში თავისი გამძლეობითა და გამოსავლიანობით, არამედ წისქვილშიაც და ლაბორატორიაშიაც. თუ ახალი პური ჩამოურჩება ძველს ან დაფქვაში, ან ქიმიური შედგენილობით, მაშინ იგი გამარჯვების გვირგვინს ვეღარ დაიდგამს, ყურადღებასაც აღარ მიაქცევენ მის ღირსებებს მინდორში.

ახლა ვიკითხოთ რა შედეგი მოიტანა ამ კვლევა-ძიებამ კერძოთ ამერიკაში და საერთოდ ყველა სხვა ქვეყნებში?

იმ მასალიდან რაც ხელთა გვაქვს სჩანს რომ პურის მოსავალს ზემოხსენებულ წესით გაუმჯობესებულ თესლის წყალობით ბევრით უმატნია მთელ დედამიწის დუნიაზე.

ჩრდილო-დასავლეთ შტატებში ახალი ჯიშის თესვამ პურის მოსავალს ბევრს შემთხვევაში ხუთზე მეტი ბუშელი ხორბალი შეჰმატა თითო აკრზე.\*) ყოფილა ისეთი შემთხვევა რომ ახალ-თესლს თითოეულ აკრზე 47-მდე ბუ-

შელი მოუცია, როდესაც რუმ. საუკუნეებში თესო მოსავალს ძველი პურისას შტატებში მინეზოტა, ჩრდილო და სამხრეთ დაკოტი 12—15 ბუშელზე ზევით არ აუწევია საშუალოდ.

ძველად არსებული პურის ხორბალი ჩრდილო-დასავლეთ შტატებში იმაზე მეტს გამოსავალს, რაც ეხლა იქ ახალ პურსა აქვს, მაშინაც კი არ იძლეოდა, როდესაც მიწები ჯერ არ იყვნენ იქ გამოფიტულნი პურის ყოველ წლივ თესვით. ერთი ამ ახალ თესლთაგანი ნაცადი მრავალჯერ შტატი მინეზოტას საცდელ მინდორზე, სადაც სხვაც ბევრი ფრიად შესანიშნავი ცდა მოუხდენიათ, იმდენად არის უკვე გავრცელებული, რომ 1906 წელს ერთი მილიონი აკრი მიწა იყო იმით დათესილი, მეორე ახალთესლს ეჭირა აგრედვე სრული მილიონი აკრი მიწა, მესამეს, რომლის შემუშავებაც იგივე საცდელ მინდორს ეკუთვნის, ნახევარი მილიონი აკრი.

ნაანგარიშევია რომ ამ ახალ პურებთან ერთად ახალი შვრია, ახალი ქერი და ახალი სელი, რომელნიც იგივე საცდელ მინდორს შეუმუშავებია, 20 მილიონამდე ქცევა მიწას დაიჭერენ და გამოსავალს თითოეულ ქცევაზე რამდენიმე დოლარით ასწევენ მაღლა

ჩრდილოეთ ამერიკის ყველა შტატებში პურის მოსავალმა რომ ქცევაზე მარტო სამი დოლარით იმატოს, ამერიკელების ქონებას სულ რო ცოტა ვსთქვამთ 100 მილიონი დოლარი მაინც მივმატება წელიწადში. მთელი ქვეყნიერება ამ ანგარიშით წელიწადში ხუთას სამოც მილიონ დოლარს შეიძინდა ზედმეტად.

\*) ერთი ბუშელი პურის ხორბალი=ჩვენებურ 54 გირვანქას. აკრი=900 კვ. საყ. ანუ ერთი ქცევის.

\*) ერთი დოლარი=2 ნენტს.



ტენესის შტატში პურის მოსავალი კლებულობდა თანდათან და 1900 წელს ერთი მილიონი აკრი მიწის მოსავალი 8 მილიონ ბუშელზე დავიდა. ადგილობრივი უნივერსიტეტის საცდელმა მინდორმა განიზრახა შეემუშავებინა ისეთი პური, რომელიც შესძლებდა იქაურ ცხელი ჰავის ატანას და ადგილობრივ მიწა-წყლის შეთვისებას. რამდენიმე წლის შრომა შეიღო ამ გამოცდამ და მიზანს მაინც მიღწიეს— შეიმუშავეს ისეთი ახალ თესლი, რომელიც წინანდელ 8—10 ბუშელის მაგივრად ქცევაზე ეხლა 37 ბუშელ ხორბალს იძლევა საშუალოდ.

სიმინდის თესვა-მოყვანაში შეტანილი გაუმჯობესობა უფრო საყურადღებოა, ვინაიდან სიმინდი იმოდენა ითვისება სანატრელ ქვეყანაში, რომ წლიურ მოსავლის საერთო ფასი ყველა სხვა ნათესაობასა სჯარბობს.

სიმინდი არ წააგავს სხვა პუროვან მცენარეებს. მისი სამრავლო ორგანოები—სამტვრე და სანაყოფე ერთ ძირზე არ არიან მოთავსებულნი. ნაყოფის ჩასახვა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ქარით ან მწერით, ან სხვა რამ საშუალებით მტვერი ყვავილისა სამტვრედან გადიტანება იმ ძირზე, სადაც სანაყოფე ორგანოა და დაედინება ამ უკანასკნელს.

სიმინდის გაუმჯობესობის საქმეში მიღებული შედეგი სანატრელ ქვეყანაში სწორედ რომ სახლაპროა.

ამ საქმეში განსაკუთრებით **თესლის შერჩევასა** \*) ჰქონდა მნიშვნელობა. ჯერ შეუდგნენ სიმინდის შედგენი-

ლობის გამოკვლევას დაწვრილობის და მეგრე საჭირო ცვლილებების შეტანას. მიზნათა ჰქონდათ არა მარტო სიმინდის მოსავლის გაზრდა, არამედ თვით მარცვლის შედგენილობის გამოცვლაც საჭიროებისადაგვარად. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ზოგი მყიდველი სიმინდს ზეთის ხილის მაგივრად ხმარობს ზეთის გამოსახდელად და ჰყიდის ამ ზეთს როგორც ზეთისხილისას, რომელსაც დიდი გასავალიცა აქვს და კარგ ფასებშიაც იყიდება ევროპაში.

ზეთი სიმინდის მარცვლის **ნასკვში** იმყოფება. რაც უფრო დიდია ეს ნასკვი, იმდენი მარცვალში ზეთიც ბლომად არის და მაშასადამე სიმინდი მეტ ფასში გაიყიდება.

ამ მხრით შესანიშნავი გაუმჯობესობა მოახდინა შტატ ილინოისის პროფესორმა გოპკინსმა, რომლის შემუშავებულ სიმინდის მარცვალში ზეთი ჩვეულებრივი 4 პროცენტადან თითქმის 7 პროცენტამდე ავიდა.

ერთი პროცენტი ზეთი ერთ ბუშელ ხორბალზე ხუთ ცენტს ანუ ორ შაურს განსხვავებას იძლევა. აქედან ადვილად შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ თუ რამოდენა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სიმინდით ვაჭრობაში პროფესორ გოპკინსის მიერ გამოწვეულს სიმინდის ცვლილებას.

სიმინდის მარცვალში უფრო ძვირფასი ნივთიერება სინოცივრე **პროტეინია** ანუ **ცილა**, რომლიდანაც კეთდება ჩვენი სხეულის ხორცი ანუ კუნთები. ამ მხრითაც შესანიშნავ შედეგს მიღწიეს სანატრელ ქვეყანაში სიმინდის თესლის შერჩევით. შეიმუშავეს ისეთი ჯიშები, რომელთაგან ზოგს 16-ზე მეტი პროცენტი ცილა ურე-

\*) იხ. „სიმინდის მოსავლის გაუმჯობესობა“ ვ. გულბათაშვილისა, „**მოსავალი**“ № 14, 1910 წ.

ვია და ზოგს კი არა უმეტეს 6 პროცენტისა.

გარდა ამისა ჩვენ ყველამ ვიცით რომ სიმინდი ზოგჯერ სახამებლის გულისათვის ითესება განსაკუთრებით. არც ამ მხრით დაჩინენ ამერიკელები გულნატკენები. ამ საქმეშიაც ისეთი გაუმჯობესობა შეიტანეს, როგორსაც მათი გული ითხოვდა. ერთი სიტყვით ამ სანატრელ ქვენაში სიმინდის მცენარე საკვირველებად გარდააქციეს.

ყველა ზემოდ მოყვანილ ცვლილებათა გარდა ამერიკელებმა სიმინდს ზედმეტი გამოსავლიანობაც მიანიჭეს. ეხლა იქ სიმინდი თითოეულ აკრზე დაახლოებით 10 ბუშელ მარცვალს იძლევა მეტს. ამერიკის ყველა შეერთებულ შტატებში ეს ზედმეტი გამოსავალი ოთხას მილიონამდე დოლარს შეადგენს წელიწადში.

დასასრულ უნდა ვსთქვათ რომ თეორია და პრაქტიკა არც ერთ სამოქმედო ასპარეზზე არ არიან ისე მჭიდროდ შეკავშირებულნი, როგორც ამ ახალი პურისა და ახალი სიმინდის ჯიშების შემუშავებაში.

ამ ორ ხორბლეულ მცენარეს იმოდენა მნიშვნელობა აქვთ მთელი ქვეყნის გამოკვებაში, ადამიანისა და ცხოველების საზრდოობაში, რომ უმათოდ ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ამ უკანასკნელთ თვით არსებობაც კი. ამიტომ ყოველი მოვლენა, რომელიც ამ ორ ხორბლეულ მცენარის გაუმჯობესობას ან მათ გაფუჭებისაგან დაცვას შეეხება, დიდად და დიდად საყურადღებოა მთელი კაცობრიობისათვის.

ვ. რცხილაძე.

## თამბაქოს მოყვანა გურიაში

ამ ერთი თვის წინად ოზურგეთის საცდელი მინდვრიდან რამდენიმე აგრონომი წავედით ჩოხატაურში თამბაქოს დასათვლიერებლად. ვინახულეთ მოსავალი დაბლა ვაკე ადგილებშიაც და მალლობებზედაც.

იქ დამსწრე შემამულეებსა და მუშებს მრავალი კითხვით მივმართეთ რომ გამოგვეკვლია: — 1) რა პირობებშია საზოგადოდ იქ მეურნეობა, 2) როგორ სწარმოებს თამბაქოს თესვა-მოყვანა და დამუშავება, 3) როგორ ამზადებენ ნიადაგს სათამბაქოთ, 4) თამბაქოს მახარალებელი მტერ-სატკივარნი და ბრძოლა მათ წინააღმდეგ, 5) რამდენი ჯდება თამბაქოს მოყვანა და საბაზროთ გამზადება.

აღმოჩნდა შემდეგი:

წინად გურიაში თამბაქოს მოყვანას მარტო ოსმალელები მისდევდნენ. მათგან შეისწავლეს აქაურებმაც.

თამბაქო ითესება ეხლა გურიაში პატარ-პატარა ადგილებზე; ერთ ისეთ ნახნავს, რომ აღმატებოდეს ვსთქვათ 15 ქცევას (1 ქცევა=900 კვ. საჟ.), თითქმის ვერსად ვერ შეხვდებით აქ. არც მორიგეობითი თესვაა აქ რთული: 3—4 წლის განმავლობაში სთესავენ თამბაქოს, მერე 1--2 წელიწადი სიმინდს, მერე ისევ თამბაქოს და ასე...

ყველა სამუშაოს ასრულებენ თვით პატრონები, მხოლოდ ზოგიერთ საჩქარო შემთხვევაში მიიშველიებენ დღიურ





მუშებს, რომელნიც 70—80 კ. მუშაობენ დღეში თავიანთი ხარჯით.

თამბაქოს დამთესავი ხშირად იჯარით აღებულ მიწასა ხნავს. ჩოხატაურის ახლო თითო ქცევა მიწაზე, თუ კარგია მიწა, იჯარა 25 მანეთამდე აღის. დაბალი ხარისხის მიწები ქირავდებიან 5—10 მან.

თამბაქოს თესლი მომეტებულ შემთხვევაში ყველას თავთავიანთი აქვთ. თესლს იღებენ თამამად გაზრდილ-განვითარებულ და კარგად შემოსულ ძირებისაგან. ითვისება უფრო ჯიში **სამსუნდიუბეკ**.

თამბაქოს სთესავენ ჯერ სანერგედ. ამისათვის არჩევენ საუკეთესო ადგილს, გააპატივებენ კარგად საქონლის ნეხვით, მოხნავენ კავით ან გასთოხნიან ღრმად და მერე ხელით მოფანტვით დასთესენ თამბაქოს თესლს ნაცარში არეულს. დაფარცხვის მაგივრად ხელითვე ჩამალავენ თესლს მიწაში. 10 კვ. საუ. ასეთი სანერგე იძლევა ერთ ქცევა ნახნავისათვის საკმარისს ნერგს.

სანერგე, ვიდრე დადგება დრო აქედან ნერგის გადარგვისა, უნდა ხშირად გაიმარგლოს და გაითოხნოს. სანერგესა მტრობს აქ თხუნელა ანუ ფუღუ.

თამბაქოს ნერგის გადასარგავად მიწა წინაღვე მზადდება: ხნავენ მიწას კავით ორპირად—აღმა-დაღმა და გარდიგარდმო (ჯვარედინად), შემდეგ დაფარცხავენ, მერე დაკვალავენ კავით და ამ კვლებში გადარგავენ თამბაქოს ნერგებს. კვალსა და კვალს შუა სტოვებენ  $\frac{3}{4}$ —1 არშ. მანძილს, ნერგიდან ნერგამდე კი 4—8 ვერშოკს.

ერთ ქცევა ნახნავს რგავს 10 მუშა. ხოლო თუ მიწა ძალიან არის ამომშ-

რალებული გოლვისაგან, ერთ ქცევას 20 მუშა უნდება.

მიწას, სადაც თამბაქოს სთესავენ, არაფერი სასუქი არ ეძლევა.

გადარგვის შემდეგ შემოსვლამდე თამბაქო 3—4 ჯერ მაინც უნდა გაითოხნოს, ესე იგი ყოველ ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა ითოხნებოდეს. თამბაქოს სანერგედან გადარგვა იწყება 25 მაისიდან და გასტანს ხოლმე კარგადიდი ხანი, 15 მკათათვემდე.

ჩვენგან ნახული თამბაქოს ყანები სამჯერობაზე იყვენენ გადარგულნი. ნაწილ-ნაწილად გადარგვას ამჯობინებენ, რადგან შემდეგი დამუშავება ასეთი ყანებისა უფრო საადვილოა თითოეული პატრონისათვის, ვიდრე ერთბაშად რომ გადარგულიყო.

გათოხნის გარდა, თამბაქოს, როცა აყვავდება, თავები უნდა გადაემტვრიოს ყვავილებიანათ და ნამხრევები გასცალდეს, როცა კი ეს ნამხრევები გამოისახებიან.

თამბაქოს თითოეულ მცენარეს აქ ბლომად უტოვებენ ფოთლებს. ხშირად 40 ფოთოლი დაითვლება თითო ძირზედ

ფოთლების მოკრეფა იწყობა მარია-მოხისთვიდან და გასტანს ხოლმე სექტემბრის დამლევამდე.

დაკრეფილ ფოთლებს ჯერ ერთი-ერთმანეთზე აწყობენ, მერე აასხამენ 5—7 არშინიან ბაწრებზე და გაფენავენ ხარხებზე გასაშრობად. აქა-იქ საჩხებებსაც შეხვდებით გაკეთებულებს განსაკუთრებით თამბაქოს გასაშრობათ. თამბაქოს გაშრობა საზოგადოდ ბევრნაირად ხდება აქ. დაბლითა, შუა წელისა და მაღლითა ფოთლები სხვადასხვა დროს შრებიან.



გაშრობის შემდეგ შეუღებებიან გა-  
დარჩევას. ერთნაირი ღირსების ფოთ-  
ლებს ცალკე კონებათა ჰკრავენ.

თამბაქო ისყიდება აქ გაზაფხულზე.  
ყიდულობენ წვრილი ჩარჩები და არა  
ფაბრიკის პატრონები.

საგრძნობლად მტრობს თამბაქოს  
**ბოსტანა ჭია** ანუ **ჯირყვალა**, რომე-  
ლიც ღრღნის მცენარის ფესვებს და  
უსპობს მას კვების სახსარს, რისგამო  
მცენარე ხმება.

ებრძვიან ბოსტანა ჭიას ამნაირად:  
თამბაქოს ყანაში კავით დააკეთებენ  
კვლებს, ჩაჰყრიან ამ კვლებში კარგად  
დაბეგვილ სიმინდს მარგიმუშკთან გადა-  
რეულს (1 ფუთ სიმინდზე 1 გირვანქა  
მარგიმუშკი).

ვისაც ეს წამალი უცდია, ყველა  
ირწმუნება რომ უებარია იგი ბოსტანა  
ჭიის წინააღმდეგ.

ბ-ნი რამიშვილის ანგარიშით, რო-  
მელსაც სხვებზე წეტი გამოცდილება  
აქვს აქ, თამბაქოს მოყვანა ჩოხატაუ-  
რის ახლო ჯდება შემდეგი:

- ერთ ქცევა მიწის ორპი-  
რად მოხენა... 6 მან.
- დაფარცხვა... 2 „
- დაკვალვა... 2 „

დარგვა (10-დან 20 მუშამდე 70-80  
დღეში თავის ხარჯით).

თოხნა (პირველად 10 მუშა ქცევა-  
ზე, რადგან ძნელი სათოხნია  
მერე კი 5 მუშა).

თავების გადამტვრევა და  
ნამხრევების ართმევა... 3 მან.

ფოთლების მოკრეფა თი-  
თო ქცევაზე, ბაწარზე ასხ-  
მა და გაშრობა... 20 „

გადარჩევა თითო ფუთი  
თამბაქოს ფოთლებისა... 1 „

ამგვარად ფუთი თამბაქოს მოყვანა  
ჯდება დაახლოებით 4—6 მანეთი.

მოსავალი მოდის ერთ  
დესეტინაზე. .... 40—60 ფუთი.

ვაკე ადგილებში თამბაქო უფრო ღია  
ფერისაა და რბილი, ქედების თამბაქო  
კი უფრო მუქი და საზოგადოდ ნაკლები  
ღირსებისაა. გამოსავალიც ნაკლები  
აქვს.

პირველი ხარისხის თამბაქო (ვაკე  
ადგილებისა) ფასობს ფუთი 9 მანეთი  
და მეტი.

მეორე ხარისხისა (ქედებისა) ფუთი  
3—6 მანეთი.

**აგრონომი გამხარაშვილი**

# ფუტკარი

## როგორ უნდა დაიწყოს მე- ფუტკარობა

დღეს ოჯახობისათვის მეფუტკარო-  
ბის სარგებლობა ექვს გარეშეა, მაგრამ  
მოგვლა-გაშენება ფუტკარისა კი დიდმა  
უშრავლესობამ არ იცის. ხშირად ვხე-  
დავთ—ზოგს ერთი ძირი ფუტკარი

ასად ექცევა, ზოგს კი ასი ძირი ერთზე  
უდგება და ან სულ გადაუშენდება.  
ამას უბრალო ხალხი ან ბედს აწერს,  
ან თვლით გადალვას და ან ხელის  
გადაყოლას. ამისთანა ცრუმორწმუ-  
ნეობით გამსქვალული გლეხი იშვიათად  
იყოლიებს ბლომად ფუტკარს. ის სრუ-



ლი დარწმუნებულია რომ ღმერთს ასე გაუჩენია. შემოდგომაზე არჩობს ფუტკარს წყალში და იღებს თაფლსა და ფიქას, რომელთაც ჩალის ფასად ჰყიდის, რადგანაც თაფლი ისეთი წმინდა არ არის, როგორც უნდა ყოფილიყო, რომ რიგიანად ამოეღო. დიდი დამტკიცება როდი უნდა, რომ სასარგებლოა თაფლიც ამოიღო და ფუტკარიც უვნებლად დასტოვო. ვსთქვათ ათი ძირი ფუტკარი გყავთ, მათში ხუთი საუკეთესო (ყოველთვის დაამსებენ ხოლმე იმას, რომელიც უფრო მძიმეა); დაამსეთ და მიიღეთ ხუთი ფუთი თაფლი და ნახევარი ფუთი სანთელი. თუ ცოტა მაინც შეგისწავლიათ ფუტკრის ხელობა, ათივე რომ გამოხილოთ და არც ერთი არ დაამსოთ, ხუთს თუ არა, ოთხ ფუთს თაფლს მაინც მიიღებთ, სანთელსაც 15 გირვანქას. ასე წმინდად ამოღებული თაფლი 4 ფუთი გაიყიდება იქვე, ადგილობრივ, 32 მანეთად, 15 გირვანქა სანთელიც 7 მანეთად და 50 კაპეკად, სულ 39 მანეთად და 50 კაპეკად. წყალში დამრჩვალნი ფუტკრიდან ამოღებული ხუთი ფუთი თაფლი კი, სულ ბევრი, 15 მანეთს ზევით არ გაიყიდება და 20 გირვანქა სანთელიც 10 მანეთი, სულ 25 მანეთი. იმის გარდა, რომ ათივე სკა ფუტკარი ცოცხალი დარჩება შემდეგი წლისათვის, 14 მანეთი და 50 კაპ. ხომ აუცილებელი მოგება რჩება, თუ მეტი არა.

საქმე ახლა იმაშია, როგორ უნდა გამოვიღოთ სკიდან თაფლი ისე, რომ ფუტკარს არა ვავნოთ-რა? ეს არის სწორედ ჩვენი ძველი მეფუტკრეებისათვის ძნელი გამოცანა. ზოგნი იძლევიან რჩევას: გადააბრუნე კოდი თავდაღმა, ძირი მაღლა უყავია, უღრჩო-

ლეთ ცოტა კომლი, ამოსქერით ფიქები იმდენი, რომ ზამთრის საწყობი თაფლი ფუტკრებს შიგ დარჩეთ და შემდეგ დადგით ისე, როგორც წინეთი იდგაო.

სიტყვა ადვილია, მაგრამ საქმე კი ისე ადვილი არ გამოდის. ძალიან გამოცდილი ხელი უნდა, კოდიდან ისე გამოქრა ფიქა და ამოიღო თაფლი, რომ ურიცხვი ფუტკარი არ დახოცო და მასთან სხვა სკების ფუტკარიც არ მიეხვიოს და საშინელი ბრძოლა და თაფლის ტაცება\*) არ გააჩნდეს საფუტკრეში. ამას გარდა, რაც უნდა გამოცდილი მეფუტკრე იყოს, ცოტა დრო არ დასჭირდება ამისთანა ძნელი სამუშაოსათვის. კიდევ კარგი, თუ დაწვენილი, შუაზე გახეთქილი კოდები აქვს, რომელნიც სხვა კოდებსა და ბოყვებს გაცილებით სჯობიან თაფლის ამოსაღებად. მაგრამ რა უნდა ქმნას იმან, ვისაც ბოყვებში (შეკერილი ხისკერქი) ან იმისთანა კოდებში აქვს, რომელშიაც ძირიდან შეგიძლიან მხოლოდ შიხედო. აი, ამისათვის საჭიროა და ფრიად სასარგებლო, მეფუტკრემ შეისწავლოს ჩარჩოებიანი სკის კეთება და იმაში ფუტკრის მოვლა. შეისწავლოს-თქო, მიტომ ვამბობ, რომ თუ არ შეისწავლა, მაშ როგორ უნდა მოუაროს ამისთანა სკებში ფუტკარს, ის სარგებლობას ვერ მიიღებს და ისა სჯობია, ისევ ძველ კოდებში იწვალოს. ამ შესწავლისათვის საჭიროა ერთი ან ორი ჩარჩოებიანი სკა დაიდგას და მოუაროს დაკვირვებით. გა-

\*) ეს დიდი მანებელია ფუტკრისათვის: აქედან გაჩნდება ქურდობა და ფუტკრების ერთიერთმანეთზე თავდასხმა, რითაც ერთმანეთს ხოცავენ და ამსებენ.

მოცდილება იქნება მისთვის კარგი მასწავლებელი, თეორია პრაქტიკაზე გამოსცადოს და როდესაც დარწმუნდება ამისთანა სკის უმჯობესობაში უბრალო სკებთან შედარებით, მაშინ თანდათან უმატოს და ბოლოს ექმნება მას მშვენიერი საფუტკრე და თვითონაც კარგი მეფუტკრე იქნება. ბევრსა ჰგონია, — წავიკითხავ თუ არა თეორიას, მოვიპოვებ კარგი სისტემის სკებს და მეტი რა უნდა იყოს საჭირო, ისეთი მეფუტკრე შევიქმნები, როგორც სანატრელიაო; მაგრამ ამისთანა მეფუტკრე მალე დარწმუნდება თავის უცოდინარობაში და თუ მოთმინება არა აქვს, შეიძლება სულაც მიატოვოს ახალი სისტემის მეფუტკრეობა. ჯრუჭის მონასტერში (შორაპნის მაზრა) ბერებს ყოველთვის ბევრი ფუტკარი ჰყოლიათ და კიდევაცა ჰყავთ. როდესაც ნახეს ჩარჩოებიანი მეფუტკრეობა, ნახეს რა ადვილად და მალე იღებენ სკებიდან თაფლს, ნახეს რომ ეს თაფლი ბევრად სჯობია სისუფთავით მათ თაფლს და ძვირად იყიდება, როდესაც რომ თავიანთ თაფლში ამ ფასის მეოთხედსაც ვერ იღებენ. მოინდომეს თვითონაც ამ ნაირად გადაეკეთებინათ თავისი საფუტკრე. მიიყვანეს ღურგალი, მისცეს ნიმუში და გააკეთებინეს ჩარჩოებიანი სკები. გაზაფხულზე ჩაჰყარეს მათში ნაყარი ფუტკარი და დადგეს.

სრული დარწმუნებული იყვენენ, რომ შემოდგომაზე ისე ადვილად ამოალაგებდნენ ფიქით სავსე ჩარჩოებს, როგორც სხვის საფუტკრეზე ნახეს. წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როდესაც ფუტკრებს ამ ჩარჩოიან სკებში ისე გაეკეთებინათ ფიქები, რომ უბრალო კოდებიდან უფრო ადვილი იყო მისი ამო-

ღება, მანამ ამ ახალი სისტემის სკებში დან. ამით მათი მეფუტკრეობა უკან თუ წავიდა, თორემ წინ არ წასულა.


ამისათვის განვიზრახე — რჩევა მივსცე ამ მეფუტკრეებს, რომელთაცა სურთ დიდად სასარგებლო ახალი სისტემის მეფუტკრეობა დაიწყონ: ჯერ შეისწავლონ ერთ ან ორ კარგად გაკეთებულ ჩარჩოიან სკაზე, ესე იგი, წიგნში წაკითხული მაზედ სცადონ და შემდეგ, როდესაც დარწმუნდებიან მის სარგებლობაში და თავის ძალაში, მთელი თავისი საფუტკრე გადააკეთონ.

რვა წელიწადია, რაც მე თვითონ ამნაირად ვსწავლობ მეფუტკრეობას.

თუმცა თეორიას თვალს ვადევნებდი და წაკითხულით პრაქტიკულადაც ვსარგებლობდი, უმსხვერპლოდ არ დამჯდომია ასეთი ცდა. რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილი მეფუტკრე არც ახლა განლავარ, მაგრამ ის რაც გამოცდილების დროს დავკარგე, ვიზარალე, დღეს სრულიად აღვიდგინე და იმოდენა სარგებლობასაც ვხედავ ჩემი ორმოცდა ათი ახალი სისტემის სკიდან, რის ნახევარსაც ვერ იღებენ ჩემი მეზობლები, ასი-ორასი სკის პატრონი ძველი მეფუტკრები.

### ს კ ა

მეფუტკრეები ბევრ ნაირ სკასა ხმარობენ. ზოგი აშენებს ფუტკარს ხის კოდებში, ზოგი ერთმანეთზე დამხობილ-დაწვენილ როფებში, ზოგი ხის კანის ბოყვებში, ზოგი წნელისაგან მოწნულ გოდრებში და სხვ. ერთი სიტყვით, რომელ კუთხეშიაც ერთხელვე როგორ სკებს შესჩვევიან, ისეთი სკები გავრცელებულა იქ და საუკეთესოთაც ის მიიჩნიათ. ძველი მეფუ-



ტკრები მრავალი ცრუ-მორწმუნეობით აღჭურვილნი, ძნელად ანებებენ თავს ძველ ჩვეულებას და ძველ სკებს. მგონი დროა, ყველამ გავიგოთ, რომ არაფერი საქმე თავის თავად წინ არ წავა, თუ კაცი არ ეცდება და მას არ გააუმჯობესებს. მეფუტკრეობაც ხომ ამ კანონს ვერ წაუვა. ვისაც უნდა მეფუტკრეობის გაუმჯობესობა უნდა ეცადოს ფუტკრის მოვლის შესწავლას. ფუტკარი კი ადვილი მოსავლელი და შესასწავლებელია ისეთ სკებში, რომელშიაც ადვილად შეეძლება კაცს ფუტკრის დათვალიერება.

ამისთანა სკებს წარმოაგენენ დღეს ჩარჩოიანი სკები. ამ სკებში შეგიძლიანთ თვითნებულად დაათვალიერო ფუტკარი; შეგიძლიანთ სკა გასწმინდოთ, გაასუფთაოთ; გინდა გაუდიდოთ ბუდე, გინდა შეუმციროთ, როგორც საჭიროება მოითხოვს და მოსავლის დროს რამდენიც და რა დროსაც გნებავთ, ადვილად ამოიღოთ თაფლი და ფუტკარი სრულიად უვნებელი დასტოვოთ. ჩარჩოიანი სკები დღეს სხვადასხვა სისტემისა არიან. აქაც ყოველ სისტემას თავისი მქებელი ჰყავს—ვინც რომელ სისტემის სკას შესჩვევია, იმას აქებს და ჰპოებს საუკეთესოდ.

აქედან ცხადადა სჩანს, რომ თაფლის მოსავალი და ფუტკრის გაშენება მართო სკაზე არ არის დამოკიდებული, არამედ უფრო მეფუტკრეზეა. გამოცდილი მეფუტკრე ყოველნაირ სკაში ბევრ თაფლს მოიყვანს და ფუტკარსაც გააშენებს.

მე დავიწყე ფუტკრის გაშენება მარიშვეის უბრალო ჩარჩოიან სკაში, რომელიც მიჩნია და გამაკეთებინა რ. ჩიხლაძემ. შემდეგ ვსინჯე დადანის სკა.

ახლა უფრო ვაშენებ ანგლო-ამერიკული სისტემის სკაში, რომელიც მოწონებულია რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ.

ამ ორ უკანასკნელ სისტემის სკებში, მე უფრო მეორეს შევეჩვიე, თუმცა უმეტესობა ახალი სისტემის მიმდევარ მეფუტკრეთა პირველის, დადანის სისტემის, მომხრენი არიან. მე ანგლო-ამერიკული სისტემის სკა მით მიმაჩნია უფრო სახელდახელოთ, რომ იმაში ქვედა და ზედა სართულში ჩარჩოები ერთი ზომისა არიან და არც ისე დიდი, როგორც დადანის სკაში (დადანის ჩარჩოებში, თუ შუაზე მავთული არ გააბი, ხშირად ინგრევა ფიჭები სიცხის დროს). მე ამით არ მინდა ვსთქვა, რომ ეს სისტემა (ანგლო-ამერიკული) სხვებს ყველას სჯობია. სკა ოდონდ ჩარჩოიანი იყოს, რომ ფუტკარს ადვილად მოუარო. უმთავრესი პირობა კარგის სკისა არის ის, რომ ჩარჩოები იყვნენ ერთის ზომისა და ერთმანეთზე იმდენად დაშორებული, რამდენადაც ამას მოითხოვს ფიჭის გაკეთებაში ფუტკრის მიერ ბუნებრივად მიღებული წესი. ასე რომ რვა და ერთ მეოთხედ ვერშოკზე უნდა დაეტიოს ათი ჩარჩო და ამ ჩარჩოებს უნდა ჰქონდეთ გამოცალკეებული კოტები. თუ ჩარჩოს სისქე ნახევარი ვერშოკია, ჩარჩოსა და ჩარჩოს შუა დარჩება მეოთხედ ვერშოკზე ცოტა მეტი ადგილი. მასთან სკას გვერდები უნდა ექმნეს სქელი, არა ნაკლები ერთის ვერშოკისა, რომ ფუტკარს არ შესცივდეს და სახურავიდან წყალი არ ჩაუვიდეს. სკას უფრო ცაცხვისას ამჯობინებენ. სკისა და ჩარჩოების დაწვრილებით აღწერას აქ აღიღოს არ ვაძლევ, რადგანაც გამოუ-

ცდელი მეფუტკრესათვის ეს უქმი იქმნება და გამოცდილს უჩემოდაც ეცოდინება. გამოუცდელი მეფუტკრე, თუ მან თავის თვალთ არ ნახა, აღწერილობიდან, თუნდა ნახატებიდან, ბევრს ვერ ისარგებლებს. მაღლობა ღმერთს, ახლა, თუ სურვილი არის, ძნელი არ არის ასეთი სკების ნახვა ჩვენში.

### მუშა ფუტკარი

ფუტკარი არის სამნაირი: მუშა ფუტკარი, მამალი ფუტკარი და დედა ფუტკარი. ესენი ადვილად განიხივებიან ერთიერთმანეთისაგან.

მუშა ფუტკარი სხვებზედ უფრო პატარა და ბანჯგვლიანია; ფერად რუხვი, ან მოყვითლო. მთელი დღე დაუღალავად დაფრინავს როდესაც ტყესა და ველში მისთვის მოიპოვება რამე; პირით, ჩინჩახვით მოაქვს თაფლი და ფეხებით ყვავილების მტვერი. შეხედეთ როცა ის ყვავილებზე დაფრიალებს და ადვილათ შეამჩნევთ, როგორ იგძვლებს პატარა ხორთუმს და სწუწნის ყვავილებიდან ნექტარს, სურნელოვან წვეს. ამავე დროს ის ფეხებით ჰკრებს ყვავილების მტვერს ამისათვის საგანგებოდ ბუნებისაგან მინიჭებულ პატარა ორმოებში უკანა ფეხებზედ. როდესაც თავის სკასთან მტერს დაინახავს, ან ვინმე ახელებს, მაშინვე სხეულის უკან ნაწილს მაღლა ასწევს და გამოაჩენს პატარა ნემსივით ისარს, რომელზედაც თვალთ შეამჩნევთ შხამის პატარა წვეთს. რომლითაც საშინლად ამწარებს ვისაც კი მისი ისარი მოხვდება. ისარი იგი თუ თავის საკბილო ცხოველს ან მწვერს, ჩასო, გამოაგლეჯს ხორცს და მაშინვე მოჰკლავს. თუ დიდ ცხოველს უგმირა, შიგ მიატოვებს შხამთან ერთად თავის ისარსაც და თვითონ კი იკვდება მუშა ფუტკარი თავის სკას გარეთ ძალიან ძვირად იკბინება, თუ არ დაიჭირე. სკაში კი მტერს არ მიუშვებს და მოყვარეს ხმას არ გასცემს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშაობს თბილ დღეში. სადამოს კი თვითონ მეფუტკრეც უნდა ერიდოს, რადგან არავის არ აძლევს ნებას, მის სკას ხელი ახლოს.

ეს მუშა ფუტკარი ეკუთვნის დედათა სქესს, თუმცა მას არასოდეს არ შეუძლიან დედაფუტკრის ადგილი დაიკავოს, რადგანაც მუშაფუტკარი არასოდეს არ იპებლება.


სწორად მოხდება ხოლმე, რომ მუშა ფუტკარი კვერცხსა სდებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკაში დედა აღარ არის და მისი პოვნის იმედიც ფუტკრებს აღარა აქვთ.

ამ შემთხვევაში რაოდენიმე მუშა ფუტკარი დაიწყებს კვერცხის დებას უთავბოლოდ; ამ კვერცხებიდან გამოდიან მხოლოდ მამალი ფუტკრები, რომელნიც ჰამის მეტს არას აკეთებენ და ბოლოს სკა სრულიად დაიმსება, თუ მეფუტკრე მას დროზე არ მიეშველა.

ამ შემთხვევაში რაოდენიმე მუშა ფუტკარი დაიწყებს კვერცხის დებას უთავბოლოდ; ამ კვერცხებიდან გამოდიან მხოლოდ მამალი ფუტკრები, რომელნიც ჰამის მეტს არას აკეთებენ და ბოლოს სკა სრულიად დაიმსება, თუ მეფუტკრე მას დროზე არ მიეშველა.

### მამალი ფუტკარი

მამალი ფუტკარი არის მუშა ფუტკარზე ბევრად დიდი, მსხვილი და მოშაო ფერისა. მას არა აქვს არც საკბენი ისარი და არც თაფლისა და ყვავილების მტვერის მოსატანი ქურქელი; ის აუარებლად სკამს თაფლს; სკიდან გამოფრინდება მხოლოდ თბილ მზიან დღეში, უფრო შუა დღისას და დაბზუის სკის ახლო. თიბათვეში, როდესაც ფუტკარი ყრას გაათავებს და თაფლის შენახვას მიჰყოფს ხელს, მუშა ფუტკრები მამალ ფუტკრებს სკი-



დან გარედ გამოჰყრიან და შეუბრა-  
ლებლად ხოცავენ. ამ დროს ისინი  
ისარს არა ხმარობენ, მარტო პირითა  
ჰკებენენ. ამ ხოცვაში ხშირად მეფუ-  
ტკრეც ეხმარება და მალე სკაში მარ-  
ტო მუშა ფუტკრები რჩებიან. იე-  
ლისში კიდევ შენიშნავ სკაში თითო-  
ოროლა მამალ ფუტკარს და აგვისტოს  
დამლევს კი სრულიად აღარ არიან.  
მამალი ფუტკრის დანიშნულება, გარ-  
და იმისა, რომ ის მამლობასა სწევს,  
დღემდის არ არის დანამდვილებით გა-  
მოკვლეული. ხოლო გამოცდილი მე-  
ფუტკრეები ამბობენ, რომ მამალი ფუ-  
ტკრები მუშა ფუტკრებს შველიან სკის

გათბობაში, რაიცა ფრიად საჭიროა გა-  
ზაფხულზე ბარტყობის დროს. რომ ეს  
მართალი არ იყოს და ამაში მაინც არ  
ეხმარებოდნენ მუშა ფუტკრებს, მა-  
შინ ისინი გაზაფხულზედაც მეტი იქმ-  
ნებოდნენ, რადგანაც ახალგაზდა დე-  
და-ფუტკრისათვის მხოლოდ ერთი მა-  
მალი ფუტკარია საჭირო და ისიც მხო-  
ლოდ ერთხელ მთელ მის სიცოცხლე-  
ში. ყოველ შემთხვევაში ნამეტანი  
მამალი ფუტკარი მზარალებელია სკი-  
სათვის.

ყ. ჩხეიძე

(შემდეგი იქნება)

## ლონდონის ბაზარი

### თამბაქო

შემოვიდა დაუმუშავებელი თამბაქოს ფოთლები 1—30 ივნისამდე:

გირვანქა. . . . . მანეთისა.  
ამერიკიდან . . 6,395,941 = 1,663,910  
სხვა ქვეყნები-  
დან . . . . . 5,77,464 = 301,030

ლონდონის საწყობებში ეწყო დაუ-  
მუშავებელი თამბაქო:

მაისში . . . . . 198,107,000 გირ.  
ივნისის დამლევს . . 195,811,000 „

### ოსმალები

წარსულ წელს ივნისიდან აგვისტომ-  
დე თამბაქოს მოსავალი კარგი იყო.

**სამსუნის** რაიონში მო-  
ვიდა (საუკეთესო თამბაქო) 800,000 ფ.  
**ტრაპიზონის** რაიონში . . 172,500 „  
აქედან ამერიკაში გაი-  
ტანეს . . . . . 125,000 „

### ფასები სამსუნის თამბაქოზე

იყო ბათმანზე (20 გირვანქა) 160—220  
პიასტრი (14—20 მან.).

**ტრაპიზონისაზე** ბათმანი 40—110  
პიასტრი (4—10 მან.).

საერთოდ პირველი ხარისხის თუთუ-  
ნი იგზავნება უმთავრესად: ამერიკაში,  
ევკვიპტეში და ინგლისში.

მეორე ხარისხისა—ავსტრიაში, გერ-  
მანიაში და ბელგიაში.

მესამე კი თითონ ოსმალეთში რჩე-  
ბა სახმარებლად.

სულ 1910 წელს გაზიდეს:

**ტრაპიზონიდან** ინგლისში . . 24400 მ.  
სხვა ქვეყნებში . . . . . 1,068,3000 „  
**სამსუნიდან** ინგლისში . . . 416,800 „  
სხვა ქვეყნებში . . . . . 11,940,400 „

წლევანდელი მოსავალი ცუდი უნდა  
იყვეს, რადგან სიცხეებმა ძლიერ დასწვეს



მცენარე. ამას გარდა იანვრის სუსხი-  
ანმა სიცივეებმა თავიდანვე გააფუჭა  
მცენარე. თუ ახლო მომავალში ზვიმა  
არ მოვიდა მოსავალი სრულიად წახ-  
დება. ფოთლები დაუქცნა და ფერიც  
მუქი მიეცა. ამერიკიდან ჩამოვიდნენ  
დიდი ფირმების წარმომადგენლები თამ-  
ბაქოს სასყიდლად და ოყაში (2<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირ-  
ვანქა) 1 მანეთს აძლევენ, მაგრამ ამ  
ფასებში არაინ არ თანხმდება და შე-  
საძლებელია, თუ ამინდი არ გამოკეთდა,  
ფასები გასამკეცდეს.

**შენიშვნა:** ოსმალეთის თამბა-  
ქოს ფასებს განსაკუთრებული  
ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენ-  
მა მწარმოებელმა, რადგან საზ-  
ღვარ-გარეთის ბაზრებზე ყველაზე  
დიდი მეტოქე ჩვენი თუთუნისა  
ოსმალეთია.

**რუსეთში**

ამ უკანასკნელ წლებში ციმბირშიაც  
დაიწყეს თამბაქოს მოყვანა, სახელდობრ  
**ტომსკის** გუბერნიაში და **სემიპალა-**  
**ტინსკის** ოლქში.

წარსულ წელს ციმბირში სულ 3,574  
პლანტაკიები იყო გაშენებული სივრ-  
ცით 280 დესეტინა.

**მზე-უჭვრიტა**

მზე-უჭვრიტაზე დიდი მოთხოვნილება  
არის ამ ჟამად. საღდება იგი ათას ფუ-  
თობით. ფასი სულ უკანასკნელი 1 მან.  
და 20 კაპეკია ფუთი, შესაძლებელია  
მეტეც მოგვცენ, რადგან მაზანდა აწეუ-  
ლია. საქონელი უნდა იყოს მტვერი-  
საგან გასუფთავებული და უხარჯო.  
მსურველთ უნდა გამოგზავნონ „**მოსა-**  
**ვალის**“ რედაქციაში 5 გირვანქა ნი-  
მუში და შემოთვალონ რამდენი ფუთი  
აქვთ გასასყიდი.

მზე-უჭვრიტა იხმარება ზეთის გამო-  
სახდელად, შემოაქვთ უმეტეს ნაწი-  
ლად სამხრეთ რუსეთიდან, უნგრეთი-  
დან და ოსმალეთიდან. ყველაზე უკე-  
თესი რუსეთის სამხრეთ გუბერნიები-  
დან მოდის.

„**მოსავალი**“-ს წარმომადგენელი  
ლონდონი.

23 ივლისი, 1911 წ.  
5 აგვისტო.

**განცხადება**

მოსავლის რედაქციაში იყოფიება შემდეგი ქართული წიგნები:

- ვ. ი. რცხილაძე** კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (მეორე ნაწილი) 50 კ.
- იმისივე** (თაგვანა) ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა) . . . . . 30 კ.
- იმისივე** საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან და შვეიცარიის  
ძირითადი კანონები . . . . . 25 კ.
- იმისივე** „ბამბის თესლის მოყვანა“ (თაგვანა) . . . . . 5 კ.

რედაქცია-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**